

სახელმძღვანელო

პრცელი ქართული ლექსიკონის

შესაღებნად



ბზილისი

1915

ელექტრომგებლადი სტამბა არ. შ. კერესელიძისა, ზაბაშვი. შესახ. № 1.

ქართული ლექსიკონის შესახებ

ქართული ვრცელი ლექსიკონი არას დროს ისე საჭირო არა უოფილა, როგორც ესლა. მაშინაც კი, როდესაც საბა ორბელიანმა თავისი შესანიშნავი ლექსიკონის შედგენა დაიწყო, ამ მხრივ მაინც ქართველობა უკეთეს ზირობებში იმყოფებოდა. იმ დროს სპარსეთი საქართველოს სარწმუნოებრივ ნიადაგზე ებრძოდა, ქართული ენისათვის კი მას ხელი არ შეუშია. ენის დაცემა მაშინდელი საზოგადო და პოლიტიკურ დაკნინების შედეგი იყო. მე-XIX-XX-ე საუკუნეებში-კი მთავრობის მკაცრმა გამარჯვებულმა პოლიტიკამ ჩვენს დედანას ბუნებრივის განვითარების საშუალება მოუხპო: სახელმწიფო და სამოქალაქო დაწესებულებათაგან განდევნა, სკოლებში ამოჭკვეთა და ეკლესიაშიც-კი შეზღუდა. ამ პოლიტიკამ თავისი საშინელი ნაყოფი გამოიღო: ქართულის მაგიერ უცხო ენა გაბატონდა, ქართველ განათლებულ წრეების გულის ნადებისა და აზროვნების გამომხატველად რუსული იქცა ისე, რომ ქართულ სახელმწიფოებრივ, სასამართლო და სამეცნიერო ენის მივიწყების გამო უმრავლესობას აზრი შეეპარა კიდევ, ვითომც მეცნიერების მაღალ აზრების გამოთქმა ქართულად შეუძლებელი იყოს. ამასე უფრო საშინელი ის იყო, რომ რუსულ სასწავლებლებში გამოზრდილმა ახალ-ახალმა თაობამ თან-და-თან ისეთ დამახინჯებულ, აჭრელებულ და უფერულ ენით იწყო ლაპარაკი და წერა, რომ ქართულის ენის ზოგიერთი ძირითადი ბუნებრივი კანონებიც-კი (მორფოლოგიური და სინტაქსური) შეირყა და შეიბღადა.

ქართულ საზოგადოებრივობის გამოდვიძებამ მე-XIX-ე საუკუნეორე ნახევრითგან მოყოლებული, განსაკუთრებით-კი უკანასკნელს ოც წელიწადს, ქართულის ენის გადაგვარება, ცოტა არ იყოს, შეაჩერა და საქმემაც ამ მხრივ გამოკეთება დაიწყო. მაგრამ ჯერ კიდევ დიდი და შედგარი შეერთებული მუშაობა არის საჭირო, რომ ქართულ-

მა საბოლოოდ განსაცდელს თავი დააღწიოს და კვლავინდებუნიად
სამეცნიერო და სახელმწიფოებრივ ენად იქცეს. თანამედროვე კაცობრი-
ობა იმდენად დაკავშირებულია სიტუაცსთან, რომ უოველგვარი იდუ-
მალი ზრახვაც-კი ჩვენდა უნებლიედ მაინც უტყუ-სიტყვიერად სწარ-
მოებს ხოლმე, უფაქიზესს აზრს მ.რტო მაშინ შეუძლიან ცხოველი
და საბოლოო გამოსატულება მიიღოს, როდესაც აზრი უკვე სი-
ტუვიერად და წერით გამოითქმება. ამიტომაც არის, რომ იმ ერს,
რომელიც თავის სამწერლობო ენას შესაფერისად არ განავითარებს,
არც შეუძლიან გონებრივ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწი-
ოს, რადგან მას ამისათვის აუცილებლად საჭირო იარაღი არ ახ:დაა:
ენა ერის სტიქიური სულიერი ბუნებისა და ძალის გამოსატულება:
და ერთობლივი შემოქმედების ნაყოფი, მისი გადაგვარება თვით ერის
სულიერ გადაგვარების მომასწავებელაა. უოველი ქართველი, რომელ-
საც თავისი ერისათვის კეთილი ჰსურს და იმის ნატვრაშია, რომ
ქართველი ერი წინანდებურად სხვა უმაღლესად განვითარებულ ერებს
გვერდში ამოუდგეს და კაცობრიობის შემოქმედების მონაწილედ გა-
ხდეს, მოკალეა ქართული ენის აღდგენას და მის განვითარებას ხელი
შეუწყოს. ეს საჭიროა თავად აზნაურთა და ინტელიგენციის იმ გადა-
გვარებულ წრეებისთვის-კი არა, რომელნიც ქართულზე მწერალად
ბრძანდებიან და დედა-ენის დაკნინება სრულებითაც არ აწუხებთ იმი-
ტომ, რომ შირადი კეთილდღეობა და დაწინაურება შეადგენს მათს
უმთავრესს საზრუნავს, არამედ ჩვენი ხაფხის და ეროვნების იმ
უმრავლესობი სათვის, რომლისთვისაც ქართული წინანდებურად სტა-
ქიურად დედა-ენაა და მისი აზროვნებისა და გრძნობების ერთად-
ერთი გამომხატველი.

იმ იარაღთა შორის, რომელნიც ენის განვითარებასა და გა-
მდიდრებას ხელს შეუწყობენ ხოლმე, კარგსა და ვრცელს სამეცნიერო
ლექსიკონს ერთი მთავარი ადგილთაკანი უკავია. ქართული ლექსი-
კონიც ჩვენს თანამედროვე გასაჭირთანა და მოთხოვნილებასთან უნდა
იყოს შეთანხმებული; იგი ამისდა მიხედვით სამს მთავარს მიზანს
უნდა ემსახურებოდეს: 1. ქართულ სამეცნიერო გრამატიკასთან ერ-
თად იგი ჩვენი დედა-ენის ბუნების სრული გამომხატველი უნდა იყოს,
სიტუგათამორისი კანონიერი დამოკიდებულებების მასწავლებელიც ჯ სახო-

გადოდ ქართულ სწორმეტყველების განმამტკიცებელი; 2. იგი უნდა შეიცავდეს ქართული ერის მრავალსუკუნოვან საუნჯეს, რომ თანამედროვე გადატაკებული და უძღური ენა კვლავ გამდიდრდეს და გაძვირდეს, განსაკუთრებით, ძველი სამეცნიერო ტერმინოლოგიის განახლებით და ახალის შექმნით, განათლებულს ქართველს მეცნიერების უაღრესაზრის გამოხატველი სამწერლობო ცოცხალი ენა შეუქმნას ისე კი, რომ ახალს სამეცნიერო ტერმინოლოგიას ჩვენს მრავალსუკუნოვან მწერლობასთან კავშირი შეწყვეტილი არა ჰქონდეს და თანამედროვე ცოდნით აღჭურვილს ქართველს თავის წინაპართა საკულტურო ნამუშავარის შეთვისებაც გაუადვილდეს; 3. ლექსიკონი უოველ ქართველისათვის უნდა იყოს გასაკები, ისეთისათვისაც-კი, რომელმაც ქართულის მეტი სხვა ენა არ იცის. რუს.-ქართული, ფრანგ.-ქართული, გერმან.-ქართული მხოლოდ მცირერიცხოვან მუშაკთა ჯგუფისათვის, მთარგმნელთათვის, არის საჭირო. ხოლო, იუ იგი საყოველთაო სახმარებლად იქმნება განკუთვნილი, ჩვენი გადაგვარების იარაღად იქცევა იმიტომ, რომ შეითხველს უცხო ენაზე შესწავლას აზროვნებას და აღმიანს მეტად მაკრებელსა და უაღრეს შეხედულებას ჩუხერგავს გულში, თითქოს დედა-ენის შეცნებისათვის უცხო ენის ხმარება აუცილებლად საჭირო იყოს. როდესაც ქართული ფრცვლი ლექსიკონი შედგენილი იქმნება, მაშინ ქართულ-რუს., ქ.-ფრანგ., ქ.-გერმან ან რ.-ქ., ფ.-ქ., გ.-ქ. და სხვა ლექსიკონის შედგენა შედარებით ადვილი საქმე იქმნება.

ამ საქმის განსახორციელებლად საჭიროა დიდი და დაეცხრომეული მეშაობა. ქართული ენის ბუნებისა და თვისებათა გამოხატველი მასალების ამოსაკრეოდ მკვლევარმა ჯერ ქართული ორიგინალური ნაწარმოები უნდა გადაიკითხოს და შეისწავლოს (მაგ. ქართ. წმიდათა ცხოვრებანი, საისტორიო და პოეტური თხზულებანი და სხვ.), შემდეგ თარგმანი. ლექსიკურ მასალების შესაკრეობლად უნდა ამორწყული იყოს ისეთი დაუშრეტელი წყარო, როგორც არის დაბადება, ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, მსოფლიო ეკლესიის წმიდათა ცხოვრებანი და სხვა. სამეცნიერო ტერმინოლოგიის აღსადგენად და შესამუშავებლად საჭიროა სამღვდელმსახურო, საღვთისმეტყველო, საფილოსოფიო, საისტორიო, სასამართლო, საბუნებისმე-

ტველო და სამკურნალო ძეგლებისა და საბუთების, ამასთანავე მე- XVIII — XIX საუკ. სახელმძღვანელოების შესწავლა და ამ წყაროებითგან ვეველა მასალის ამოკრება.

უბვე შეგროვილი მასლა, შესაფერისად დალაგებული, ისე უნდა იუოს ლექსიკონში შეტანილი, რომ 1) თვითთუელი სიტუვის მნიშვნელობა მარტივად ქართულადვე იუოს ახსნილი, მაგრამ იმგვარად, რომ მნიშვნელობის თვითთუელს ახსნას დართული ჰქონდეს სხვა-და-სხვა ძეგლითგან ამონაწერი თითო დამატკიცებული მაგალითი მაინც. 2) აღნიშნული უნდა იუოს, როდის და სად გვხვდება ეს სიტუვა და რა მნიშვნელობით, როგორ იცვლება მისი მნიშვნელობა, ცოცხალია იგი თანამედროვე მწერლობაში თუ არა, თუ იგი ჰქრება, როდისა ჰქრება, თუ ეხლაც ცოცხალია, რა სახით და მნიშვნელობით არის შესახული, ხოლო თუ ერთხელ გამქრალი შემდეგში კვლავ ჩნდება მწერლობაში, როდის და რა მნიშვნელობით? 3) თუ სიტუვა უცხო ენითგან არის ნასესხები მწიგნობრობის საშუალებით, ან ზეპირად არის შემოხიზნული, უნდა აღინუსხოს, თუ შესაძლებელია, საითგან არის შეთვისებული და რა მნიშვნელობა აქვს მას იმ ენაში; 4) იმ შემთხვევაში, როდესაც ამა-თუ-იმ სიტუვის მნიშვნელობის ახსნას გერავითარი ვრცელი განმარტებაც-კი ნათლად შეითხველს ვერ შეაგნებინებს (მაგ. მტენარეების და უვაილების სახელები, სხვა და სხვა იარაღის, გუთნის და სხვ. სახელები, სახურთმოდღვრებო ტერმინები და სხვა), ამისთანა შემთხვევაში განმარტებას იქვე სურათიც უნდა ჰქონდეს დართული. ლექსიკონში შეტანილი იქმნება თვითთუელის სიტუვის მხოლოდ უმოაკრესი ფორმა, დანარჩენი კანონიერად წარმოებული ფორმები არ აღინიშნება. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამა-თუ-იმ სიტუვას „უკანონო“, განსხვავებული ფორმები შიკაობა, მაშინ ის ფორმებიც საგანგებოდ აღნუსხული იქმნება. ამ მხრივ ეს ლექსიკონი არსებითად განსხვავდება იმ ქართული აკადემიური ლექსიკონისაგან, რომლისათვისაც აკად.ნ. მარრის თაოსნობითა და თავმჯდომარეობით აკადემიური სალექსიკონო კომისისა მუშაობს: იქ შეტანილი უნდა იუოს უოველი ქართული სიტუვის თვითთუელი ფორმა, კანონიერიცა და „უკანონიც“, იგი უნდა იუოს ქართული ენის ნამდვილი საუნჯე, ერთად-ერთი მართლაც სრული ქართული ლექსიკონი. მიზნის სიღიადის

გამო შესაძლებელია ამ აკადემიური ლექსიკონის შესადგენად მკვლევართა ერთი თაობის ნაშრომი საკმარისი არც კი იყოს. ას ქართულ-ქართული ლექსიკონი, რომელიც ეხლა არის განზრახული, უფრო ვიწროდ არის შემოფარგლული. იგი ამის გამო იქმნება მხოლოდ შეძლებისდა გვარად ვრცელი და არა სრული. ამისდა მიუხედავად მის შესადგენად იმაღენა დაუცხრომელი შრომა საჭირო, რომ ერთს აღამიანს, ვინც უნდა იყოს იგი, ამის განხორციელება არ ძალუძს. საბა ორბელიანმა თავის ლექსიკონის შედგენას 30 წელიწადი მოანდომა, ეხლა კი ამგვარს ტვირთს ერთი აღამიანი ვერც-კი იგისრებს: სხვა არა იყოს რა, თანამედროვე მეცნიერების თვითუღო დარგი იმდენად განვითარებული არის, რომ ლედა-მიწის ზურგზე ისეთი არაფინ მოიძინებება, რომელმაც მეცნიერების უოველი დარგი თანასწორად იცოდეს. თუ ქართული ენის ისეთმა უებრო მკვლევარმა და მეცნიერმა, როგორიც არის აკად. ნ. მარრი, მარტომ ვერ იგისრა ამგვარი შრომა და თანამშრომლები მოიწვია, მით უმეტეს არავის სხვას მარტოდ-მარტოს ამ აზრის განხორციელება არ შეუძლიან. ამიტომ ჩვენის გულწრფელისა და ღრმა რწმენით მხოლოდ მკვლევართა შეერთებულს თანხმობრივს მუშაობას შეუძლიან განახორციელოს და დაჩქაროს ეს ძნელი და საშეიღიშვილო საქმე. ნაყოფიერების გულისათვის შრომა მოხაწილეთა შორის დარგებისდა მიხედვით უნდა იყოს განაწილებული. როდესაც მთელი მასლა შეგროვლი და დარგებისდა მიხედვით ცალ-ცალკე შესწავლილი იქმნება, თვითუღი დარგისათვის მცოდნე პირთაგან შემდგარი საკანგებო კრებები უნდა იქმნეს მოწვეული, რომელნიც საბოლოოდ გადასწვეტენ, რა-და-რა ტერმინი იყოს შემოღებული ქართულ თანამედროვე სამეცნიერო მწერლობაში, რომ ამ გზით ჩვენს მწერლობაში ერთგვარი, ვეაღსათვის სავადლებულ ტერმინოლოგია კაბატონდეს. ამისდა გვარად შესაძლებელია თვითუღ დარგისათვის ცალ-ცალკე ჰატარ-ჰატარა სატერმინოლოგოი ლექსიკონები დიდ საერთო ლექსიკონზე ადრე გამოიცეს. სალექსიკონო მასალების ამ გვარად შესწავლისა და შემუშავების შემდგომ ლექსიკონის სარედაქციო კომისისა სანილობულ საკითხების გადასაწვეტად აკად. ნ. მარრს მიჭმართავს. ლექსიკონის გამოქვეყნების შემდგომ მთელი მასლა ქართულ საკა-

დემიო ლექსიკონის შემდგენელ კომისიას გადაეცემა.

ამ ლექსიკონის მასალების შეგროვებას და თვით ლექსიკონის შედგენას კისრულობენ იუსტ. აბულაძე, ვუკ. ბერიძე, ს. გორგაძე, დკპ. კ. კეკელიძე, ვ. ღამბაშიძე, შინგროოყვა, აკ. შანიძე, იოს. უიფშიძე და ივ. ჯავახიშვილი. ამას გარდა ამ საქმისათვის უკვე მუშაობენ პეტ. როგრაძის უნივერსიტეტის სტუდენტთა ქართული სამეცნიერო წრისა და ბესტიუჟევის ქალთა უმაღლეს კურსების ქართველ მსმენელთა სამეცნიერო წრის წევრები და სხვა უნივერსიტეტების ზოგიერთი სტუდენტები. მასალების შესაგროვებლად სამი წელიწადია ნაფარაუდევი და ერთი წელიწადი კიდევ მასალების შესწავლისა და დასაბუქლად დამზადებისათვის.

ივ. ჯავახიშვილი, დეკ. კორნ. კეკელიძე, იუსტ. აბულაძე, ი. უიფშიძე, ს. გორგაძე, ვ. ღამბაშიძე, ვ. ბერიძე, პ. ინგოროყვა, აკაკი შანიძე.

სახელმძღვანელო

გრცელი ქართული ლექსიკონისათვის მასალების
დასამზადებლად.

გრცელი ქართული ლექსიკონი შედგენილ იქნება სიტყვის იმ მასალასგან, რომელიც მოიპოება ყოველი დარგის ქართულ სამწერლობო ძეგლებში უპყველეს დროიდან მოყოლებული მე-XVIII ს. ბოლომდის და ცოცხალ ენაშიც, რამდენადაც ეს წარმოდგენილია ახალ მწერლობაში და ჩაწერილ ზეპირსიტყვაობაში. ლექსიკონი მიზნად ისახავს: პირველად და უმთავრესად—სიტყვების მნიშვნელობის განმარტებას ისტორიული თანდათანობით, მეორე—ენის სინტაქსიური მხარის აღნიშვნას და მესამედ—სიტყვების მორფოლოგიური ფორმების აღნიშვნასაც. ლექსიკონმა რომ საბოლოო ფორმა მიიღოს, საჭიროა ორგვარი, ერთი მეორის მიმდევნი, მუშაობა: ჯერ ფართო კომისიის მასალების დასამზადებლად და მერმე გაცილებით უფრო ჰატარა სარედაქციო კომისიისა. სიტყვების საბოლოოდ განმარტება, მათი ძიებებზე თუ ფესვებზე დალაგება, უცხო სიტყვებთან აღნიშვნა, თუ რომელ ენიდან უსესხნია ისინი ქართულს,—ყოველივე ეს სარედაქციო კომისიის ვალია. ფართო კომისიამ კი უმთავრესი ყურადღება მასალის ამოწრასა (თუგინდ განუმარტებლად) და წყაროების აღნიშვნას უნდა მიაქციოს ქვემოაღნიშნულა მუხლების მიხედვით.

I. თვითოველი სიტყვა ამა თუ იმ ძეგლიდამ ცალკე ფურცელზე უნდა ამოიწეროს.

შენიშვნა: ფურცელი ზომით უნდა იყოს ჩვეულებრივი რვეულის ფურცლის მეოთხედი და დაიწეროს მხოლოდ ცალ გვერდზე.

II. ერთი და იმავე სიტყვის მრავალ მორფოლოგიურ ფორ-

შათაგან, რადესაც სიტყვის მნიშვნელობა უცვლელად რჩება, უნდა ამოიწეროს: 1) სახელმწიფოსათვის, სხვა სახელებისა და ნაცვალსახელთათვის სახელობითი ბრუნვა (მხოლ. და მრავლობითის ორივე ფორმა:—ები, —ნი); 2) ზმნებისათვის სახელმწიფო და უმთავრეს დროთა, აწმუოსი და აორისტის, შესამე ჰირი (მს. და მრ.), ბრძანებითი კილო, სხვადასხვა იშვიათი ფორმები, მაგ., არიედ, არნ, არანვეულებრივი („უკანონა“) ფორმები და მიმღობანი. თავსართიანი სახელმწიფოები დაიწყოებიან ანბანზედ თავსართთა ჰირველი ასოს მიხედვით: აღწერა (ანზედ), გადაწერა (განზედ) და სხ. მხოლოდ ჰირისა და ჯიმის მარჯვენა ნაცვალსახელობითი ნაწილაკები კი მხედველობაში არ მიიღებიან: აწერინა უნდა მოთავსდეს სახელმწიფო წერასთან ცალკე ფურცელზე, აღაწერინა—აღწერასთან და სხ.

შენიშნვა: სიტყვების ამოწერის დროს დასაწყისი ფორმების თვით ძველში ძებნა საჭირო არ არის. დასაწყისი ფორმას თვით მომუშავე დასწერს და მაგალითს კი მოიტანს იმ ფორმით, როგორც წყაროშია. ვთქვათ სიტყვა **ცა** ჰირველად ამ სახით შეგვხვდა: **ცათა შინა**. ჩვენ თვითონ დავსწერთ: **ცანი** და შემდეგ მივუწერთ: **ცათა შინა**; მოვედინ—მოხლვა: მოვედინ და სხ. თუ შემდეგ თვით ძველში შეგვხვდება დასაწყისი ფორმა, იმას აღვნიშნავთ და მაგალითსაც დავურთავთ.

III. ერთისა და იმავე სიტყვის რადენჯერმე ამოწერა მხოლოდ მაშინ არის საჭირო, თუ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. ასეთ შემთხვევაში სიტყვის თვითივე მნიშვნელობა ცალ ცალკე ფურცლებზე უნდა ამოიწეროს და იქვე დამატებითი მაგალითებიც მოტანილი უნდა იქმნეს. ავიღოთ მაგალითად სიტყვა **პატივი**. ამ სიტყვას რადენიმე მნიშვნელობა აქვს. სხვათა შორის ის ნიშნავს ხელისუფლებას, თანამდებობას, როგორც ესა სჩანს შემდეგი ადგილიდან: „ივანე უვარუვარე ციხის-ჯვარელი ჯაყელი პატივითა იყო მეტურჭლეთ-უხუცესი“ (უმწ * 769, გვ. 599) და რამდენიც კი არ უნდა აღმოჩნდეს სიტყვა **პატივის** მნიშვნელობა მაგ., **პატივი—პატივისცემა** და სხ., უკვლავ მსგავსადვე ცალკე ფურცელზე უნდა ამოიწეროს.

IV. წყარო უოველთვის ნაჩვენებია უნდა იყოს შემდეგი სახით:

სახელწოდება ძეგლისა შემოკლებით (ქვემო დართული სიის თანახმად), გვერდი და სტრიქონი, საღმრთოწერალის წიგნებში კი—თავი და მუხლი, ხოლო თუ ძეგლი ხელთნაწერია—გვერდი და თუ სვეტებიცაა—სვეტიც.

შენიშნვა: თუ სტრიქონების სათვალავი წიგნში აღნიშნული არ არის, უკეთესია მუშაობის გასაადვილებლად სტრიქონები წინასწარ აღინუსხოს ყოველ გვერდზედ. თუ ერთსა და იმავე დროს სარგებლობთ ამა თუ იმ ძეგლის ხელთნაწერთაც და დაბეჭდილითაც, ხელთნაწერის გვერდების წინ ვარსკვლავი უნდა დაისვას დაბეჭდილის გვერდებისაგან გასარჩევად.

V. აღნიშნული უნდა იყოს ენის სინტაქსიური მხარეც უმეტესად ისეთ შემთხვევებში, როდესაც სიტუკათა და წინადადებათა შემთხვევა დღევანდელ თვალთსაზრისით არაჩვეულებრივია, მაგ., *შენსწირეს ღთისა*; მივიდა გულს-მოდგინედ წმიდისა მის (გზ, ნე, 1). თანდებულნი უნდა ამოიწერონ იმ ბრუნვებთან ერთად, რომელთასაც დაიდებინ, მაგ., *გან: სახლით-გან*. თუ ერთი და იგივე თანდებული ორ სხვადასხვა ბრუნვასთან დაიდება, ორივე შემთხვევა ნაჩვენები უნდა იყოს.

VI. დასასრულ, როგორ უნდა განიმარტოს ესა თუ ის სიტუკა? სიტუკების განმარტება ძნელია და ამიტომ ზოგიერთ განსაკუთრებულ შემთხვევებში მომუშავეს შეუძლია სრულიად არ განმარტოს სიტუკები, მხოლოდ მაგალითები კი უსათუოდ უნდა ამოიწეროს. ზემომოყვანილი მაგალითი, სადაც სიტუკა პატივი გვხვდება, საქმარისია უმისოდაც, თუ მომუშავე არ აღნიშნავს, რომ პატივი ამ შემთხვევაში უდრის ხელისუფლობას ანუ თანამდებობას. თვითეული სიტუკის მნიშვნელობის განმარტება საკუდაქციო კომისიის მოკალებიან მასალების საბოლოოდ დამუშავების დროს. ასახსნელი და ამხსნელი სიტუკების ხაზგასმა მაგალითში კი საჭიროა. ხშირად ესა თუ ის სიტუკა თვით ძეგლშივეა განმარტებული. მაგ., კიმენი: „კიმენ... ესე იგი არს მდებარე“ (ეურ 333) „კიმენი... ესრეთ ეწოდების პირველ ლიტონად აღწერილსა წიგნსა მოწამეთასა“ (იქვე 333). ასეთი განმარტებანი რასაკვირველია უნდა ამოიწეროს სრულიად უცვლელად.

ქმედების სახელწოდებათა სანიშნობო შემოკლება
(ჯირ-ჯირობით ქველი მწერლობისა):

1. დაბადების წიგნები:

ძველი ალთქმა:

შესაქმეთაჲ—შს
 გამოსლვათაჲ—გმ
 ლევიტეთაჲ—ლვ
 რიცხუთაჲ—რც
 მეორე სჯულთაჲ—2 სჯ
 ისო ნავესი—ისნ
 მსაჯულთაჲ—მსჯ
 რუთ—რთ
 მეუეთაჲ ჰირველი და სხ.—1, 2,
 3, 4 მფ
 ნეშტთაჲ ჰირველი და სხ.—1, 2 ნშ
 ეზდრა ჰირველი და სხ.—1, 2, 3 ეზდ
 ნემცასი—ნმ
 ტობია—ტბ
 იუდითი—იუდ
 ესთერ—ესთ
 იობ—იბ
 ფსალმუნი—ფს
 იგავნი სოლომონისნი—იგ
 ეკლესიასტე—ეკლ
 ქებაჲ ქებათაჲ—ქბ
 სიბრძნე სოლომონისი—სბრ
 ისო ზიარქისა—ისზ

ესია—ეს
 იერემია—იერ
 გოდება იერემიასი—გდ
 ბარუქ—ბრ
 ეზეკია—ეზ
 დანიელ—დნ
 იოსია—იოს
 იოელ—ილ
 ამოს—ამ
 აბდია—აბ
 იონა—იონ
 მიქია—მქ
 ნაუმ—ნამ
 ამბაკომ—ამბ
 სოფონია—სფ
 ანგია—ანგ
 ფაქარია—ფქ
 მალაქია—მლ
 მაკაბელთა 1, 2, 3—1, 2, 3 მკ

ახალი ალთქმა:

მათე—მთ
 მარკოზ—მრ
 ლუკა—ლკ
 იოანე—იან
 სექმე მოციქულთა—სქმ

ეპისტოლე ჰეტრესი 1,2—1,2 ჰტ
 ეპისტოლე იოან. 1,2,3—1,2,3 ინ
 ეპისტოლე იუდასი—იუდ
 ჰრომაელთა მიმართ—ჰრმ
 კორინთელთა 1,2—1,2 კრ
 გალატელთა — გლ
 ეფესელთა — ეფ
 ფილიპპელთა — ფფ
 კოლასელთა — კლ
 თესალონიკელთა 1,2—1,2 თს
 ტიმოთეს მიმართ 1,2—1,2 ტმ
 ტიტეს მიმართ — ტტ
 ფილიპონისი — ფფმ
 ებრაელთა — ებრ
 გამოცხადება — გმც

2. ისტორიული და გეოგრაფიული ძეგლები, მოგზაურობანი:

ლეონტი მროველი. ცა მეფეთა და
 ჰირველთაგანთა მამათმთავართა — მრვ
 ჟუანშერ. ცა მეფეთა ვახტანგ
 გრგოსრსა — ჟნშ
 მოქცევაჲ ქართლისაჲ — მქ
 მატთანე ქა — მტნ
 ცა მეფეთ-მეფეთისა და ვითისი — ღვთ
 ისტორიანი და აზმანი — იზმ
 ჟამთა აღმწერელი — ჟმწ
 აბუსედიე ტბელი — აბუს
 ძეგლი ერისთავთა — ძგლ
 მესხურ და ვითის მატთანე — მდმ

ფარ. გორგიჯანიძე ისტორია — გგჟ
 სეხნია ჩხეიძე — ჩხ
 ჰაჰუნა ორბელიანი — ორბჰ
 ვახუშტი ისტორია I, II — 1,2 ვხშ
 „ გეოგრაფია — გრგ
 ტიმოთე. მიმოსლვა — ტმო
 ს. ორბელიანი. მოგზაურობა — მცზ

3. სიტყვაკაზმული ძეგლები:

შავთელი. აბღულმესია — შგთ
 ჩახრუხაძე. ქება — ჩხრ
 ვეფხის-ტყაოსანი — ვტ
 ვისრამინნი — ვსრ
 ამირან-ღარეჯანიანი — აჯ
 რუსუდანიანი — რსდ
 როსტომიანი — რსტ
 ქილიდა და დამანა — ქლდ
 თიმსარიანი — თმს
 თეიმურაზი — თმზ
 არჩილიანი — არჩ
 არჩილ მეფის ზნენი — არჩზ
 იოსებ ტფილელი. დიდმოურავიანი — დდმ
 დ. გურამიშვილი. გურამიანი — გრმ
 ფ. ფაშგებერტყაძე. შანგაზაზანი — შნგზ
 ბესარიონ გაბაშვილი — ბს
 კალმასობა — კლმ
 ს. ორბელიანი. სიბრძნე-სიღრუის
 არაკები — არკ

4. წამებანი და ცხორებანი: კონდაკი—კნდ
 კარდმოცემა იოვანე დამასკელი-
 წამებაჲ შუშანიკისაჲ—შშ სს—გდმ
 „ ევსტათე მცხეთელისაჲ—ემც სსუნჯე კვრელე იერუსალიმელი-
 „ აბოჲსი—აბო სს—სნჯ
 „ ცხრათა ძმათა კოლაელ მაქსიმე აღმსარებელის სქოლიები
 თაჲ—კლთ დიონისე არეოპაგელის თხზუ-
 „ კონსტანტინე კახაჲსი—კხ ლებათა—მქს
 „ გობრონისა—გბ გრიგოლ ღმრისმეტყველი. ღმრის-
 „ გრიგოლ ხანძთელისაჲ—გხ მეტყველებისათჳს—გრდ
 „ სერაპიონ ზარზმელისაჲ—ზრზ წინამძღუარი ანასტასი სინაელი-
 „ იოანესი და ექთუმესი—ინექ სს—წწ
 „ გიორგი მთაწმინდელისაჲ—გთწ
 შატბერდისეული წა ნინოს ცა—ნნ ასთავი დიოდოხოს ფოტიკელი-
 სს—დდფ
 5. საღვთისმსახურო, საღვთის-
 მეტყველო და საფილო-
 სოფოსო ძეგლები: ბასილი დიდი, ექვსთა დღე-
 თა—ბას
 არქიურატოკონი—არქ ნემესიოსი—ნმს
 იერუსალიმის კანონარი—კნ გრიგოლ ნოსელი, შესაქმისათვის
 ტიბიკონი იერუსალიმის რედაქცი-
 ისა—ტიპ კაცისა—კნ
 სჯნაქსარი გიორგი მთაწმინდელი-
 სა—სნქ კავშირნი—კვშ
 კურთხეუანი—კრთ იოანე დამასკელი, დიალექტი-
 კა—ინდ

ხოლო თუ ვინმე სხვა ძეგლებითაც ისარგებლებს, ძეგლების სახე-
 ლები უნდა შემოაკლოს იმ წესით, როგორც ზემოთაა მიღებული; მხო-
 ლოდ ძეგლების სრული და შემოკლებული-საწესები ცალკე სიით უნდა
 დაურთოს თავის ნაშრომს.